პროფესიული მომზადების/პროფესიული
გადამზადების პროგრამის განხორციელების
უფლების მიმნიჭებელი საბჭო

23/12/2024

MES 3 24 0001644133

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟისთვის " ,,მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი" პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ" პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 5 ნოემბრის №1420785 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ

ცენტრის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. **ძალადაკარგულად გამოცხადდეს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს** 2024 წლის 18 ნოემბრის №1484786 გადაწყვეტილება.

2. ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟისთვის" ,,მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი" პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ" პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 5 ნოემბრის №1420785 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟს" (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი /02080/" **(დანართი).**

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის №1641301 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

ზ. ზ

ელექტრონული ფორმა
ეროვნული ცენტრი

დანართი

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02080	მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1